წლიური ანგარიში 2022

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

www.sai.ge
Tel: +995 322 054 154

საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

სარჩევი

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის შესახებ 3
2022 წლის შეჯამება 4
პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 5
სერტიფიცირების პროგრამა 6
აკრედიტირებული პროგრამები 7
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება 8
გამოცხადებული ტრენინგები 9
კორპორატიული თანამშრომლობა 10
განხორციელებული პროექტები 11
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) კვლევითი პროექტი 11
საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების სახელმძღვანელო 11
საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორების საქმიანობის კვლევა 12
"გახდი აუდიტორი" 12
პარტნიორებტან თანამშრომლობა 13
მომხმარებელთა უკუკავშირი 14

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საგანმანათლებლო პროფილის საჯარო სამართლის იურიდიული პირია და ფუნქციონირებს მის ბაზაზე. ის საქმიანობს რამდენიმე მიმართულებით: უზრუნველყოფს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, ექსკლუზიური უფლებით ახორციელებს საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სერტიფიცირებას, მუნიციპალური განვითარებისა და საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებს, ატარებს ინდივიდუალურ და კორპორაციულ ტრენინგებს, გეგმავს და ახორციელებს კვლევით/ანალიტიკურ, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურებას, ქმნის პროფესიულ ლიტერატურას და სასწავლო სახელმძღვანელოებს.

ინსტიტუტი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2011 წელს შეიქმნა და საქმიანობდა სამი მიმართულებით – საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება და საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურება. 2019 წლიდან ინსტიტუტმა ძირითად მიმართულებად საგანმანათლებლო პროფილი აირჩია.

2021 წლიდან საჯარო აუდიტის ინსტიტუტი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის (ISO 9001:2015) სერტიფიკატის მფლობელია. სერტიფიცირება მოიცავს ინსტიტუტის ძირითად მომსახურებებს: სერტიფიცირება, ტრენინგები, ტესტირება და კონსულტირება.

2022 წლის შეჯამება

2022 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა შემდეგი მიმართულებებით: სერტიფიცირება, ტრენინგები და კონსულტირება.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა განახორციელა კვლევითი პროექტები, მათ შორის: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის (სემეკი). გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაკვეთით განახორციელა კვლევითი პროექტი - „ადგილობრივ თვითმმართველობებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ფინანსური მენეჯმენტის პრობლემების ძირეული მიზეზების ანალიზი“.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ უმაღლეს სასწავლებლებსა და საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ განხორციელდა პროექტი - „გახდი აუდიტორი“.

ჩატარდა საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორების საქმიანობის კვლევა, გამოიცა საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო კურსის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი.

2022 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა თანამშრომლობის 9 მემორანდუმი გააფორმა, მათ შორისაა პირველი საერთაშორისო თანამშრომლობა აზერბაიჯანის საანგარიშო პალატასთან და აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (UNEC).



პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის პირველადი ფუნქციაა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ინსტიტუტის მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, მათი ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება. ამ მიზნით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ახორციელებს სასწავლო პროგრამებს, მათ შორის, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის, პროფესიული და ტექნიკური უნარების, პროექტების მართვის, საოფისე პროგრამებისა და სხვა მიმართულებებით.

ამასთანავე, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ახორციელებს ინდივიდუალურ (საცალო) და კორპორაციულ სასწავლო პროგრამებსა და ტრენინგებს. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსები ტარდება წინასწარ შედგენილი გეგმური კალენდრის მიხედვით. ინსტიტუტი ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, შეიმუშავებს მათი მოთხოვნების, საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამის სასწავლო კურსებს.

მსმენელთა რაოდენობა სასწავლო კურსების მიხედვით

2022 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა შეიმუშავა 11 ახალი ტრენინგ-კურსი

სერტიფიცირების პროგრამა

საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირება საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ექსკლუზიური უფლებაა. დაინტერესებულ პირებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და მოქმედ აუდიტორებს) შესაძლებლობა აქვთ, შეისწავლონ აუდიტის საკანონმდებლო ბაზა, გაეცნონ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, მოქმედების სფეროებსა და სტრუქტურას.

სასერტიფიკატო კურსი მოიცავს: ფინანსურ, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის თემატიკას, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას, საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობას. სერტიფიცირების სასწავლო კურსის გავლის და გამოცდის ჩაბარების შემდეგ გაიცემა საჯარო სამსახურში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი ხუთწლიანი სერტიფიკატი.

2022 წლის განმავლობაში საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კურსი განხორციელდა 3 ჯგუფთან. აღნიშნულ პროგრამაში 48 პირი მონაწილეობდა.

2022 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 2-ჯერ. გამოცდაზე გასული 31 პირთაგან სერტიფიკატი 12-მა მოიპოვა.

სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების მაჩვენებელი

აკრედიტირებული პროგრამები

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამები

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა 2019 წელს აკრედიტაცია მოიპოვა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან და მიენიჭა პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელების უფლება. „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილება ითვალისწინებს საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებს, როგორიცაა: „მოხელის მენეჯერული უნარები" და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი".

2022 წელს აკრედიტირებული პროგრამების კურსი განხორციელდა 17 ჯგუფისათვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 256-მა საჯარო მოხელემ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებულ ტრენინგ კურსებში სულ წარმოდგენილი იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 243 თანამშრომელი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჭიროებების და მოთხოვნის გათვალისწინებით თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგებში:

#	ტრენინგი/მოდული	მონაწილეთა რაოდენობა
1	სერტიფიცირების კურსი	13
2	საბიუჯეტო კანონმდებლობა (სერტიფიცირების კურსის მოდული)	9
3	შესაბამისობის აუდიტი (სერტიფიცირების კურსის მოდული)	10
4	ეფექტიანობის აუდიტი (სერტიფიცირების კურსის მოდული)	15
5	ფინანსური აუდიტი (სერტიფიცირების კურსის მოდული)	6
6	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS) (სერტიფიცირების კურსის მოდული)	11
7	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS)	5
8	რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში	11
9	პროგრამული ბიუჯეტირება	17
10	აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემა (AMS)	52
11	IT კონტროლების გავლენა შიდა კონტროლის გარემოზე	22
12	კრიზისული სიტუაციების პრევენცია და მართვა საზოგადოებასთან ურთიერთობაში	7
13	მოხელის მენეჯერული უნარები	2
14	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი	20
15	ენობრივი საშუალებები აკადემიურ ტექსტში	35
16	ეფექტური პრეზენტაცია	5
17	შშმ პირები და მათთან ურთიერთობის ეტიკეტი	3

გამოცხადებული ტრენინგები

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი წლის დასაწყისში შეიმუშავებს ტრენინგების გეგმას, რომელიც სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებს მოიცავს. 2022 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა 17 ტრენინგი განახორციელა 36 ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც ჯამში 586 ადამიანი გადამზადდა.

#	ტრენინგის დასახელება	ჯგუფის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
1	ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში	8	155
2	რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში	3	68
3	სამუშაოს შესრულების მართვა და მოხელის შეფასება საჯარო სამსახურში	4	68
4	პროგრამული ბიუჯეტირება	3	53
5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი	3	47
6	სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის	2	31
7	კეთილსინდისიერება და ინტერესთა კონფლიქტი საჯარო სამსახურში	2	28
8	საგადასახადო და აუდიტორული პროცესების მართვა	2	26
9	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS)	1	21
10	ბიზნესპროცესების მართვა	1	13
11	სამშენებლო დავები	1	12
12	Excel	1	12
13	ადამიანური რესურსების მართვის ტრენინგი პრაქტიკოსი HR-ებისთვის	1	12
14	ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება	1	11
15	რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი	1	11
16	უნებართვოდ აშენებული ობიექტების მართვის წესი და პირობები	1	10
17	შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისთვის	1	8

კორპორატიული თანამშრომლობა

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი კორპორატიული დავკეთების ფარგლებში, თანამშრომლობს სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციასთან და ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე შეიმუშავებს მათი მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამის სასწავლო კურსებს.
2022 წელს კორპორატიული თანამშრომლობა განხორციელდა 4 ორგანიზაციასთან: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და ქალაქ რუსთავის მერია.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)

კორპორატიული თანამშროლობის ფარგლებში, სემეკის 112 თანამშრომელი გადამზადდა შემდეგი მიმართულებებით: ორგანიზაციის ახალი საქმიანობის აუდიტორული და საგადასახადო პროცესები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი, ტრენინგი სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის, მართლმეტყველების ტრენინგი, ურთიერთობების ფსიქოლოგია, ტრენერთა ტრენინგი (ToT).

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

2022 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი და პროექტების მართვა - მონაწილეობა მიიღო კომუნიკაციების კომისიის 39-მა თანამშრომელმა.

რუსთავის მერია

გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, 2022 წელს რუსთავის მერიის 84 თანამრომელი გადამზადდა შემდეგი მიმართულებებით: სამშენებლო დავები, მუნიციპალური ქონების მართვის და განკარგვის სამართლებრივი საკითხები, ეფექტური კომუნიკაცია და სტრესის მართვა, ლიდერობა და გუნდის მართვა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

კორპორატიული თანამშრომლობის ფარგლებში, მართვის თანამედროვე პრაქტიკებისა და ინვენტარიზაციის პროცესის მართვის მიმართულებით გადამზადდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 27 თანამშრომელი.

განხორციელებული პროექტები

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) კვლევითი პროექტი



საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაკვეთით განახორციელა კვლევითი პროექტი - „ადგილობრივ თვითმმართველობებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ფინანსური მენეჯმენტის პრობლემების ძირეული მიზეზების ანალიზი“.

კვლევაში სფეროს გამოცდილ ექსპერტებთან ერთად საჯარო აუდიტის ინსტიტუტის თანამშრომლებიც იყვნენ ჩართულები. კვლევის დასკვნით ეტაპზე შემუშავდა რეკომენდაციები და კვლევის ანგარიში, რომელსაც დონორი ორგანიზაცია გამოიყენებს საჯარო ფინანსების სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხო ღონისძიებების დასაგეგმად.

საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების სახელმძღვანელო

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების სახელმძღვანელო გამოსცა, რომელიც ორი წიგნისგან შედგება და მოიცავს სერტიფიცირების კურსის 5 სასწავლო მოდულს - საბიუჯეტო კანონმდებლობას, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, ფინანსურ, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტებს. სახელმძღვანელო გადაეცა პარტნიორ ორგანიზაციებს და ხელმისაწვდომია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფორდებში, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებში, თბილისის მასშტაბით არსებულ მულტიფუნქციურ ბიბლიოთეკებსა და რეგიონების ადმინისტრაციული ცენტრების მუნიციპალურ ბიბლიოთეკებში.

საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორების საქმიანობის კვლევა

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორების საქმიანობის კვლევა ჩაატარა. კვლევის შედეგად შეფასდა 2019-2020 წლებში საჯარო სექტორში სერტიფიცირებულ აუდიტორთა საქმიანობა, აქტივობა და მათი წილი საჯარო სექტორში ჩატარებულ აუდიტებში. კვლევის შედეგების მიმოხილვა განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

„გახდი აუდიტორი“



საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ უმაღლეს სასწავლებლებსა და საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ განხორციელდა პროექტი „გახდი აუდიტორი“. პროექტი მოიცავდა სასწავლო ღონისძიებებს, რომლის დასრულების შემდეგ, წარმატებულ მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა სტაჟირება გაევლოთ საერთაშორისო აუდიტორული კომპანიებში. პროექტში მონაწილეობა მიიღო 23 უნივერსიტეტის 32-მა წარჩინებულმა სტუდენტმა.

„სემეკის“ თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიასთან (სემეკი) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა განახორციელა სემეკის თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა და შესაბამის საკონსულტაციო მომსახურება ორგანიზაციის განვითარების მიმართულებით.

პარტნიორებთან თანამშრომლობა

2022 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა გააფორმა თანამშრომლობის 9 მემორანდუმი, მათ შორისაა 5 წამყვანი საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი), ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და იუსტიციის სასწავლო ცენტრი. საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ასევე გააფორმა პირველი საერთაშორისო მემორანდუმი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატასა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (UNEC).

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატამ და აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურმა უნივერსიტეტმა (UNEC) სამმხრივ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელმოწერის ცერემონია საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წარმომადგენლების ბაქოში ვიზიტისას შედგა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ განავითარებენ სამეცნიერო-პრაქტიკულ ურთიერთობებს, იზრუნებენ კვალიფიციური კადრების გადამზადებაზე, ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში ხელს შეუწყობენ სფეროს შესახებ უახლესი ინფორმაციის, საინფორმაციო მასალებისა და მეთოდოლოგიის გაცვლას, ასევე სახელმძღვანელოებისა და გამოცდილების გაზიარებას.
2022 წლის 15-16 დეკემბერს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში აზერბაიჯანის საანგარიშო პალატისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტის (UNEC) დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრაზე აზერბაიჯანულმა მხარემ ისაუბრა მათ მიერ დაგეგმილი აუდიტორთა განგრძობადი განათლების შესახებ და დაგეგმილ აქტივობებზე საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წარმომადგენელთა რეკომენდაციები მოისმინა. შეხვედრებზე ასევე განიხილეს სამომავლო თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების პერსპექტივები.

მომხმარებელთა უკუკავშირი

„ინფორმაცია მოწოდებული იყო მაქსიმალურად გასაგებად, რაც ტრენერის მაღალი კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის დამსახურებაა. ასევე იდეალური იყო კომუნიკაცია მონაწილეებთან: ტრენერი მყისიერად რეაგირებდა "ჩართულ მიკროფონზე" და იყო აზრის დაფიქსირების თანაბარი შესაძლებლობა. მადლობა, ორგანიზატორებსაც''

„ძალიან ძლიერი და მაღალი დონის ტრენერები გყავთ, არ იძლევიან მოდუნების საშუალებას.”

„ტრენინგმა მომცა მიმართულება და გზამკვლევი სად შეიძლება მოვიპოვო საინტერესო ინფორმაცია''

მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი

92%

აკრედიტირებული პროგრამები

91%

სერტიფიცირების კურსი

95%

საცალო ტრენინგები